

სკოლა - სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ წეროვნის N3 საჯარო სკოლა  
კლასი- VIII  
საგანი - ქიმია  
მასწავლებელი - ნანა დემუროვი

<p><b>სამიზნე ცნება - ნივთიერება</b> <b>მკვიდრი წარმოდგენები:</b> ზოგი ნივთიერება წყალში ხსნადია, ზოგი -არა. ხსნარებში გახსნილი ნივთიერებების რაოდენობის მიხედვით ანსხვავებენ სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარებს. <b>თემა - ხსნარები</b></p>
<p><b>საკითხები / ქვეცნებები</b> <b>საკითხები</b>-1.რა მნიშვნელობა აქვს ხსნარებს ბუნებაში? 2. როგორი ხსნარები ვიცით? 3.რისთვის ვიყენებთ ხსნარებს ყოფაში? 4.რა უნდა ვიცოდეთ იმისთვის , რომ მოვამზადოთ ამა თუ იმ კონცენტრაციის ხსნარი? <b>ქვეცნებები</b>- ნივთიერება, ნივთიერების რაოდენობის მახასიათებლები, ხსნარის კონცენტრაციის გამოთვლა მასური წილის მიხედვით, ხსნადობაზე დამოკიდებული ფაქტორები.</p>
<p><b>კომპლექსური დავალება:</b> მოამზადე სუფრის მარილის ხსნარი მოცემული პირობის თანახმად და განსაზღვრე მასური წილი მოცემულ ხსნარში(კვლევიითი სამუშაო). ხსნარის მომზადებამდე რას შეარჩევდი მოცემული ნივთებიდან და ნივთიერებებიდან( ქიმიური ჭიქა, თბილი წყალი, ცივი წყალი, მყარი მარილი, მარილის ფხვნილი, წკირი, თერმომეტრი, სასწორი, ფილტრის ქაღალდი). დაასაბუთეთ. შეამოწმეთ მისი ხსნადობა სხვადასხვა ტემპერატურაზე და შედეგი წარადგინეთ ცხრილის სახით. <a href="#">trainingebi\ლინკი.docx</a> საბოლოო მონაცემები ამ საკითხის გარშემო წარადგინეთ პრეზენტაციით. <b>ნამუშევარში ხაზგასმით წარმოადგინე</b> -მოცემული ნივთიერებებიდან რომელია სუფთა ნივთიერება? რას მივიღებთ მოცემული ნივთიერებების ერთმანეთთან შერევით? როგორ გამოვითვალოთ ხსნარში არსებული ნივთიერების მასური წილი ანუ კონცენტრაცია? რა მიზანი აქვს ხსნარების ცოდნას პრაქტიკაში? რაზე დამოკიდებული ნივთიერებების ხსნადობა?</p>

შენიშვნა: პრეზენტაციაში დაერთობა მოსწავლეთა ნამუშევრები და შეფასება სოლო ტაქსონომიის მიხედვით.